



მარტი ... გაზაფხულის მახარობელი, ხან ნაზი და ალერსიანი, ხან კი ბოზოქარი და მშფოთვარე თვე, ადვილებს ბუნებას. ასევეა ქალი, ბუნების ეს ფენომენი მამაკაცებისათვის. ამ თითქოს მარტივი სიტყვის ხსენებისას, მამაკაცში რაღაც ქვეცნობიერი იღვიძებს, აფხიზლებს მას, ძალას აძლევს, ღმერთისგან ბოძებულ ამ ლამაზი სიტყვის - სიყვარულის ძალას აგრძნობინებს.

სწორადაა შერჩეული, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ქალთა საერთაშორისო დღეების აღნიშვნა ამ ბოზოქარ თვეში.

სულითა და გულით გილოცავთ ქალბატონებო და საქალბატონებო თქვენთვის მოძღვნილ ამ სადღესასწაულო დღეებს **3 და 8 მარტს!** უღვივი სიხარული, სიყვარული, ჯანმრთელობა. გაზაფხულის სურნელოვანი ყელმოღერებული ყვავილებით ყოფილიყავით ყოველთვის. თქვენ ჩვენთვის დადებითი ენერჯის მომნიჭებლები ხართ.

როგორც ტყე არ იქნება ხეების გარეშე, ასევე მამაკაცი ვერ იარსებებს ქალის გარეშე. ამიტომ **გაიხარეთ, გაიხარეთ, გაიხარეთ!**

### პატივისცემით, თქვენი მადმერთებელი სოსო ბოლოკაძე

ყველა ქალს და დედას ვულოცავ **გაზაფხულის დღესასწაულებს - 3 მარტსა და 8 მარტს** ... საქართველოში ეს თარიღები გამორჩეულია, რადგან ქალი მუდმივად სათაყვანებელი იყო, არის და ასე იქნება მარად.



დედის ენა გასწავლის, გზას გაძლევს, გეხმარება მიზნის არჩევასა და მიღწევაში, გაძლევს დიდ ცოდნას რწმენისას, რომელიც საფუძველია სიყვარულისა.

გისურვებთ არ გაქრეს თქვენი სახიდან მომხიბვლელობა და მიმზიდველობა, იდუმალეობა, სისადავე, გრძნობის შინაგანი სიბრძნე და სიღრმე. არ დაივიწყოთ სიყვარულის დაგროვება და შემდგომ მისი ნაწილ-ნაწილ გადაცემა.

გოჩა ამყოლამე

უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთგვარად, ინგლისურენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულებმა, პირველივე ცდაზე წარმატებით ჩააბარეს ინდოეთის რესპუბლიკაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისათვის სავალდებულო **FMGE** გამოცდა, რაც მათ უფლებას აძლევს აწარმოონ პროფესიული პრაქტიკა, სტაჟირება გაიარონ ინდოეთის ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში და დასაქმდნენ უმცროს ექიმებად.

უნივერსიტეტი ულოცავს თავის კურსდამთავრებულებს ამ წარმატებას და უსურვებს წინსვლას პროფესიულ ასპარეზზე.



საერთაშორისო რეფერირებადმა ჟურნალმა "International Journal of Early Childhood Special Education" გამოაქვეყნა სამეცნიერო სტატია "Online Learning of Students with Special Needs: Teachers' Perspectives" ("სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა ონლაინ სწავლება: პედაგოგთა პერსპექტივა"). ნაშრომი შესრულდა რამდენიმე უნივერსიტეტის მკვლევარების და სტუდენტების თანამშრომლობით, ესენი არიან:

ეკატერინე ბუაძე (სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი),  
თენგიზ ვერულავა (კავკასიის უნივერსიტეტი),

მარიამ დარბაიძე, მარიამ ბარამია (ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).


კვლევის მიზანია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების ონლაინ სწავლების გამოწვევების შესწავლა COVID-19 პანდემიის პერიოდში. კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა სააუდიტორიო გაკვეთილების მომხრეა, რადგან სააუდიტორიო მეცადინეობები მათ ეხმარება სოციალური უნარების განვითარებაში; არსებული რესურსების მრავალფეროვნების გამო, ხელს უწყობს მოტორული და პირისპირ კომუნიკაციის უნარების განვითარებას. ამ მხრივ, თანამშრომლობითი სწავლება და ფიზიკური კონტაქტები მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის. ზოგიერთ მოსწავლეს არ აქვს წვდომა ტექნოლოგიურ აღჭურვილობასა და ინტერნეტზე და ვერ ახერხებს ონლაინ სასწავლო პლატფორმების გამოყენებას. იმის გათვალისწინებით, რომ ონლაინ სწავლების ტექნოლოგიების გამოყენება სულ უფრო იზრდება განათლების სფეროში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანია მათზე ხელმისაწვდომობა.

ჟურნალი „International Journal of Early Childhood Special Education“ ინდექსირებულია SCOPUS-ის (Elsevier) საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში.



უნივერსიტეტ გეომედთან აფილირებული „გერმანული ჰოსპიტალი“ მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულებაა, რომელიც დაკომპლექტებულია გერმანული და ქართველი გამოცდილი სპეციალისტებით. კლინიკა აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური ცენტრითა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აპარატურით. უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტები პირველივე კურსიდან გადიან პრაქტიკულ მეცადინეობებს „გერმანულ ჰოსპიტალში“ განვითარებისა და კლინიკური უნარების შესწავლის მიზნით. ამ ეტაპზე სტუდენტები პრაქტიკას გადიან „გერმანული ჰოსპიტლის“ რადიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელთან, ექიმ-რადიოლოგ დავით გოგიაშვილთან. კლინიკის პერსონალი, ასევე აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობაში.





უნივერსიტეტ გეომედის სტომატოლოგიის ფაკულტეტზე ჩატარდა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა- OSCE, რომელიც აღნიშნულ ფაკულტეტზე 2020 წლიდან დაინერგა. შეფასების ახალი მეთოდი საშუალებას იძლევა რეალობაზე დაფუძნებულ სიმულაციურ გარემოში შეფასდეს სტუდენტთა როგორც თეორიული ცოდნა, ასევე კლინიკური უნარ-ჩვევები.

გამოცდა ჩატარდა უნივერსიტეტის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ სტომატოლოგიურ საფანტომო ლაბორატორიასა და საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში. სტუდენტთა კლინიკური უნარების ცოდნის დონეს აფასებდნენ სერტიფიცირებული გამოცდელეები, რომელთაც გავლილი აქვთ ლიდისის უნივერსიტეტის ტრენინგები შესაბამისი მიმართულებით.

OSCE არის სიმულირებულ გარემოში სტუდენტის თეორიული ცოდნის, კლინიკური და კომუნიკაციური უნარების, ავტონომიურობის გამოვლენის შეფასების საუკეთესო საშუალება. OSCE-ის მიზანია სტუდენტის კლინიკური უნარების შეფასება და პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავება. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობითა და ფაკულტეტის დეკანატის მალისხმევით მოეწყო 11 „სადგური“. სტუდენტების საგამოცდო სივრცეში შესვლა და



სადგურებს შორის გადაადგილება კონტროლდებოდა დამხმარე პერსონალის მიერ. მათ შესაფასებლად გამოყენებული იყო ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა. მიღებული ქულები დაჯამდა საგამოცდო კომისიის წევრების მიერ სრული გამჭვირვალეობის დაცვით. საბოლოო შეფასება კი აისახა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

მნიშვნელოვანია, რომ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები (OSCE) კარგად იყო დაგეგმილი და ორგანიზებული. შესაბამისად, საგამოცდო პროცესი დადებითად შეფასდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და გამოცდელი კოლეგების მიერ.

**სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ხათუნა ტვილდიანი**



4 მარტს უნივერსიტეტ გეომედში გაიმართა ასისტენტ პროფესორის მალხაზ ვახანიას წიგნის „ენდოგენური პეპტიდების როლი ორგანიზმების სისტემურ თვითრეგულაციაში“, პრეზენტაცია. მონოგრაფიაში წარმოდგენილია ბიოლოგიურ ორგანიზმებში ენდოგენური პეპტიდების გავლენა სხვადასხვა ფიზიოლოგიურ პროცესებზე. განხილულია მათი სტრუქტურული აღნაგობა და მოქმედების მექანიზმები. ასევე მოცემულია ბუნებრივი და ხელოვნური პეპტიდების გამოყენების პერსპექტივები მედიცინაში. მონოგრაფია გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. წიგნი ხელმისაწვდომია როგორც ბიბლიოთეკაში, ასევე გეომედის ვებ გვერდზე.

2022 წლის 12 იანვარს, უნივერსიტეტ გეომედსა და ქალაქ გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მარინა ფირცხალავამ და კრწანისის რაიონის გამგებელმა მემორანდუმი მიზნად ისახავს ერთობლივი სოციალური სხვადასხვა მიმართულებით. კრწანისის რაიონის გამგებელმა გაესაუბრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და



თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებებს შორის მემორანდუმს ხელი მოაწერეს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ბატონმა ბექა მიქაუტაძემ. და ჯანდაცვის პროექტების განხორციელებას და თანამშრომლობას დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეხვდა და თანამშრომლებს. შეხვედრა წარმართა თბილ და მეგობრულ გარემოში.



2022 წლის 26 თებერვალს უნივერსიტეტ გეომედსა და ქალაქ რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც რუსთავის მულტიპროფილური საავადმყოფო უნივერსიტეტის აფილირებული კლინიკა გახდა. შეთანხმების მიზანია ხელი შეუწყონ მაღალი დონის სამედიცინო პერსონალის ჩამოყალიბებას, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის განვითარებას. მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს გეომედის სტუდენტთა და კურსთამთავრებულთა დასაქმებას და საუნივერსიტეტო პროგრამების განხორციელებაში კლინიკის რესურსების აქტიურ ჩართვას.



გასული ათწლეულების განმავლობაში, გლობალურმა საზოგადოებამ დიდი მალისხმევა გაიღო ქალებისა და გოგონების მეცნიერებაში ჩართულობისთვის. მიუხედავად ამისა, ისინი კვლავაც ნაკლებად არიან წარმოდგენილი მეცნიერებაში. ქალებისა და გოგონების მეცნიერებაში სრული და თანაბარი ხელმისაწვდომობის მისაღწევად, გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიზნით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წელს 11 თებერვალი გამოაცხადა მეცნიერებაში ქალთა და გოგონების საერთაშორისო დღედ. ეს დღე ყოველ წელს სხვადასხვაგვარად აღინიშნება მსოფლიოს მასშტაბით. 2022 წელს მეცნიერებაში ქალთა და გოგონების მე-7 საერთაშორისო დღე მიეძღვნა შემდეგ თემას: „სამართლიანობა, მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა: წყალი გვაერთიანებს“.



9 თებერვალს აღინიშნება სტომატოლოგთა საერთაშორისო დღე და ის სულ უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოში. ეს დღე დაარსდა როგორც სტომატოლოგების მიმართ მადლიერების გამოხატვის საშუალება. გარდა ამისა, ამ დღის აღნიშვნა ითვალისწინებს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას პირის ღრუს ჰიგიენის საკითხებზე და ხაზს უსვამს ჯანსაღი კბილების მნიშვნელობას.



4 თებერვალი კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა, რომლის მთავარი მიზანია საზოგადოებაში სიმსივნური დაავადებების, სკრინინგის, ადრეული დიაგნოსტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება. 2022 წელს კიბოსთან ბრძოლის კამპანიის სლოგანია: „Close the Care Gap“, ხოლო ძირითადი საკითხები არის კიბოთი დაავადებული ადამიანების მოვლისა და მკურნალობის პროცესში უარყოფითი ფაქტორებისა და ბარიერების გამოვლენა, უთანასწორობა და ა.შ.